KA020179153312222

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების მინისტრი

MINISTER OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №1 Tel.: (+995 32) 2 99 11 05
1, Zviad Gamsakhurdia Embankment, 0114 Tbilisi, Georgia Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 17/6593 **24 / აგვისტო / 2022 წ.**

საქართველოს პარლამენტის
საპროცედურო საკითხთა და წესების
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს
ბატონ პაატა მანჯგალაძეს

ბატონო პაატა,

თქვენი მიმდინარე წლის 22 აგვისტოს 7571/3-62/22 წერილის პასუხად, რომელიც შეეხება რუსეთ-საქართველოს შორის საბორნე მიმოსვლის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების საკითხს, გაცნობებთ, რომ საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის 2005 წლის 10 იანვარს ხელი მოეწერა „საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და რუსეთის ფედერაციის ტრანსპორტის სამინისტროს შორის ფოთი (საქართველო) - კავკაზის (რუსეთი) ნავსადგურების გავლით პირდაპირი საერთაშორისო სარკინიგზო-საბორნე მიმოსვლის ორგანიზების შესახებ“ შეთანხმებას.

მიმდინარე წლის ივნისში, სომხეთის რესპუბლიკის ეკონომიკის მინისტრმა თხოვნით მოგვმართა ფოთი-კავკაზის სანაოსნო ხაზზე საბორნე მიმოსვლის დაწყებასთან დაკავშირებით, რომელიც სომხეთის სახელმწიფოს პროექტია. აღნიშნული თხოვნის საფუძველზე გაიმართა კონსულტაციები შესაბამის სატრანსპორტო კომპანიებს შორის.

დამატებით გაცნობებთ, რომ სომხეთის რესპუბლიკა, რომელსაც არ გააჩნია ზღვაზე გასასვლელი, ტრადიციულად სარგებლობს საქართველოს ნავსადგურებით და აწარმოებს საერთაშორისო ვაჭრობას. ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ საქართველო საერთაშორისო კონვენციის "იმ სახელმწიფოთა სატრანზიტო ვაჭრობის შესახებ, რომელთაც არა აქვთ გასასვლელი ზღვაზე” წევრია. აღნიშნული კონვენციის შესაბამისად, ზღვისპირა სახელმწიფოებთან თანაბარ პირობებში ზღვაზე თავისუფალი გასასვლელის გამოყენების მიზნით, ზღვაზე გასასვლელის არმქონე სახელმწიფოებს უნდა ჰქონდეთ ზღვასთან თავისუფალი დაშვება.

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან დავითაშვილი